პროგრამა: ,,შუახევის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება“

პროგრამის მიზანი

- მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა;

- იმ ოჯახების სოციალურ ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე/სამომავლო საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი წარმოების ზრდის, ტურისტული პოტენციალის განვითარების, საოჯახო მეურნეობის გაფართოებისა და პოპულარიზაციისკენ;

- ქალების მეტი ჩართულობისა და გააქტიურებისათვის ზრუნვა, ქალების, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი და თანაბარუფლებიანი წევრების განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამით მოსარგებლე პირები

-შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, 18 წელს მიღწეული ფიზიკური პირი ქალი ან ქალთა საინიციატივო ჯგუფი, რომელსაც პროექტის გამარჯვების შემთხვევაში წარმოეშობა ინდივიდუალურ მეწარმედ ან იურდიულ პირად დარეგისტრირების ვალდებულება;

-ინდივიდუალური მეწარმე;

-მეწარმე იურდიული პირი.

ბიზნეს-გეგმა მხოლოდ განმცხადებელი პირის ნამუშევარს უნდა ასახავდეს. პლაგიატის შედეგად კონკურსიდან პროექტს დაუყოვნებლივ დისკვალიფიკაცია მოჰყვება.

კონკურსში მონაწილეობა ეზღუდებათ:

- ბენეფიციარს, საინიციატივო ჯგუფის წევრს, რომელიც არის აღნიშნული პროგრამის კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული გასულ წლებში;
- პირს, რომელიც რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში;
- საჯარო მოხელეს.

- დაინტერესებულ პირებს მხოლოდ ერთი პროექტის შემოტანის უფლება აქვს კონკურსის ფარგლებში.
- მერია უფლებას იტოვებს, არ შეარჩიოს არც ერთი განაცხადი, იმ შემთხვევაში, თუ სათანადოდ არ დააკმაყოფილებს შერჩევის პროცესებს და კრიტერიუმებს.
- პროექტი უნდა განხორციელდეს შუახევის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე.

პროგრამით გათვალისწინებული დახმარება

პროექტი გულისხმობს მცირე, დამწყები და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ერთი პროექტი არა უმეტეს 10 000 (ათი ათასი) ლარით იქნება დაფინანსებული.

- ➢ პროექტის მინიმალური ბიუჯეტი 1000 (ერთი ათასი) ლარი.
- ➢ პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი 10 000 (ათი ათასი) ლარი.

- პროგრამა დაფინანსდება, გამარჯვებული პირის/ჯგუფის თანამონაწილეობით.
- ფინანსური თანამონაწილეობა უნდა შეადგენდეს განმცხადებელის მოთხოვნილი თანხის 20 % -ს, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტული კონკურსანტისთვის კი 10%-ს.

.

❖ თანამონაწილეობად ჩაითვლება მხოლოდ ფინანსური მონაწილეობა.

უპირატესობა ენიჭებათ:

- მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის (დედის) მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას;
- მრავალშვილიანი სტატუსის მქონე მშობლის (დედის, რომელსაც ოთხი ან მეტი 18 წლამდე შვილი ჰყავს) მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ქალის (შემდგომში შშმ პირი) მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას;
- ძალადობის მსხვერპლი ქალის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას;
- საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახის წევრის ქალის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს, ბიზნესის დაწყება/გაფართოებას;
- 29 წლის ასაკის ჩათვლით სუბიექტის (ქალის) მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებას;
- მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანის და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანის ან/და ამ პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრების (მეუღლე, შვილი, დედა) ბიზნესის დაწყება/გაფართოებას.

აღნიშნული კატეგორიის პირი სარგებლობს 10 %-იანი თანამონაწილეობით, რომელმაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი, დანართის სახით .

პროგრამის განხორციელების ეტაპები

პირველი ეტაპი- ბიზნეს გეგმის განაცხადის წარდგენა/შეფასება.

მეორე ეტაპი-გასაუბრება.

მესამე ეტაპი-ადგილზე ვიზიტი.

გამარჯვებული ბენეფიციარების გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება.

გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება, კონკურსის შერჩევა/შეფასების წესით, გასაუბრებაზე მიღებული ქულათა ჯამითა და ადგილზე ვიზიტით.

მერია უფლებამოსილია

განახორციელოს გამარჯვებული

პროექტის მიმდინარეობის

მონიტორინგი.

პროექტების წარმოდგენა შესაძლებელია

ტურიზმი.

სოციალური/საგანმანათლებლო საკითხები.

სოფლის მეურნეობის მეორადი პროდუქციის წარმოება.

პროგრამის თანხით არ დაფინანსდება

-ნებისმიერი სასტუმროს ტიპის მოწყობა;

-სატრანსპორტო საშუალებების შეძენა;

-ბიოლოგიური აქტივის შეძენა (მაგ: მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ფრინველები, ფუტკრები და ა.შ.);

-უძრავი ქონების შეძენა;

-ალკოჰოლური სასმელების წარმოება ან/და ვაჭრობა;

-თამბაქოს წარმოება ან/და ვაჭრობა;

-პროექტის განხორციელების ეტაპზე რაიმე სახის ანაზღაურების მიღება;

-რელიგიური ღონისძიებები;

-ხელფასები და მიმდინარე ხარჯები;

-სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა;

- სასწავლო/სამეცნიერო გრანტები;

- კვლევები;

-ჰუმანიტარული აქციები და საქმიანობა;

-გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები;

-მეორეული ნივთების შეძენა;

-სწრაფი კვების ობიექტები;

-ნახევარფაბრიკატები;

-საკონდიტროები;

-საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.

შეფასების კრიტერიუმები

✓ საკონკურსო განაცხადების შესაფასებლად, კომისია შემდეგი კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს:

1. კონკურსის მიზნებთან, ამოცანებთან და პირობებთან შესაბამისობა.
2. პროექტის დამაჯერებელი და ფაქტებით გამყარებული დასაბუთება.
3. პროექტის შედეგზე ორიენტირებული.
4. მოსალოდნელი შედეგების მასშტაბი.
5. ფინანსური დაგეგმარება, ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა.
6. პროექტის შედეგების მდგრადობა.
7. საშემოსავლო საქმიანობის ბიზნეს-გეგმის რეალისტურობა.
8. საშემოსავლო საქმიანობის განხორციელების პოტენციური ადგილი და გაყიდვების გეოგრაფია.
9. მართვის პოტენციალი.
10. მოტივაციის საქმიანობის კეთების სურვილი.

ბიზნეს გეგმის განაცხადის დანართები

ბიზნეს-გეგმის განაცხადის წარმოდგენის დროს კონკურსანტმა დანართის სახით უნდა წარმოადგინოს ცნობა მოვალეთა რეესტრიდან,

ცნობის წარმოუდგენლობის და პირის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება.

შესაძენი ნივთების ინვოისები (უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული შესასყიდი საქონლის (კანონის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში) საბაზრო ფასებთან შესაბამისობის/ადეკვატურობის დადებითი დასკვნა)

რომლის, წარმოუდგენლობის შემთხვევაში განაცხადი არ განიხილება.

პრიორიტეტულ კონკურსანტმა დანართის სახით უნდა წარმოადგინოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბიზნეს პროექტის განხილვის პროცესში, შესაძლოა, კომისიამ განმცხადებელს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა მოსთხოვოს, სამი ან მეტი სამუშაო დღის ვადაში.

გამარჯვებული ბენეფიციარის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია ხელშეკრულების გაფორმებამდე

- ბიზნეს გეგმის განაცხადის პროექტი;
- საქართველოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბიზნესის განხორციელების ადგილის საკუთრების უფლების, ფლობის ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. საკუთრების უფლების ამონაწერი (განახლებული, 2025 წლის მდგომარეობით) საჯარო რეესტრიდან ან ბიზნესის განხორციელების ადგილის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად დროებით სარგებლობის ფორმებით მიღების დამადასტურებელი ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრება არანაკლებ 1 (ერთი) წლით. ამასთან, თუ შუახევის მუნიციპალიტეტის მერიას და ბენეფიციარს შორის ხელშეკრულების გაფორმების მომენტში, მეწარმე სუბიექტის მიერ წარდგენილ იქნა უკვე გაფორმებული მოქმედი ბიზნესის განხორციელების ადგილის სარგებლობის ფორმით მიღების დამადასტურებელი 1 (ერთი) წლიანი ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადაც სრულდება მეწარმე სუბიექტსა და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ წელზე ნაკლებ ვადაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულების შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია წარადგინოს განახლებული დოკუმენტი, რომლის მოქმედების ვადაც არ იქნება მასსა და შუახევის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ წელზე ნაკლები;
- თანასაკუთრების შემთხვევაში, სხვა თანამესაკუთრების ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა ან/და თანხმობა ან/და ყველა თანამესაკუთრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლის შინაარსისა და ხელმოწერის ნამდვილობაზე პასუხისმგებელი იქნება დოკუმენტის წარმომდეგნი;
- გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად/ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მეწარმის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;
- ცნობა, რომ მეწარმე სუბიექტს არ გააჩნია ვადაგადაცილებული დავალიანება და ანგარიშზე ყადაღა კომერციულ ბანკში, რომლიდანაც წარმოადგენს ანგარიშის რეკვიზიტებს;
- ამონაწერი მოვალეთა რეესტრიდან;
- იმ შემთხვევაში თუ საქმიანობა საჭიროებს, ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობას/ნებართვას – თანხმობის დოკუმენტი.
- ქალთა ჯგუფის მონაწილეობის შემთხვევაში – ჯგუფის წევრთა თანხმობები.
- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელთა წარმოდეგნის საჭიროებასაც განსაზღვრავს დამატებით კომისია.

აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, პროექტი არ დაფინანსდება.

ხელშეკრულების გაფორმების, პროგრამის თანხის ჩარიცხვის შემდეგ ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს

- თანამონაწილეობის და პროგრამის თანხის გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- ა) პროდუქციის/მომსახურების მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტებია:
- სასაქონლო ზედნადები (RS.GE) ან/და
- საგადასახადო დოკუმენტი(RS.GE);

- ბ) თანხის გადახდის და ზემოაღნიშნული დოკუმენტებით გაწეული ხარჯის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტებია:
- სალაროს ქვითარი (იმავე ოდენობაზე);
- ბანკის გადარიცხვის ქვითარი (იმავე ოდენობაზე);
- კომერციული ბანკის სალარო (POS) ტერმინალის ქვითარი.
- ჩგდ - ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი (იმავე ოდენობაზე);
- სალაროს შემოსავლის ორდერი (მხოლოდ ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის შემთხვევაში)(1)
- (1) პროდუქციის/მომსახურების მიმწოდებელი რეგისტრირებული უნდა იყოს გადასახადის გადამხდელად, რომელიც უზრუნველყოფს „ა“ და „ბ“ პუნქტებში ჩამოთვლილი დოკუმენტაციის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ფიზიკური პირთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება მომსახურებაზე, რაზედაც წარმოსადგენი იქნება კონკრეტულ პირთან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია, სადაც წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია აღნიშნული პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შესახებ.

გამარჯვების/დაფინანსების შემთხვევაში ბენეფიციარი პირველ ეტაპზე ახორციელებს თანამონაწილეობის თანხის გახარჯვას, რის შემდეგაც წარმოადგენს დამადასტურებელ დოკუმენტებს: ზედნადებებს, ქვითრებს, შემდეგ კი ერიცხება პროგრამით გათვალისწინებული თანხა.

ბიზნეს გეგმის განაცხადების მიღება

ბიზნესი გეგმის განაცხადების მიღების ბოლო ვადა მიმდინარე წლის 29 აპრილი, 15:00 სთ.

ბიზნესი გეგმის შემოტანის წესი:

განაცხადის წარდგენა შესაძლებელი იქნება მატერიალური ფორმით, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაში, შემდეგ მისამართზე: შუახევის მუნიციპალიტეტი, თამარ მეფის ქუჩა №22, შუახევის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული.

მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება

591 98 20 19

www. shuakhevi.gov.ge